ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3580358

ნომერი: AR1537533

თარიღი : 05.09.2017

გაცემის თარიღი : 02.10.2017

გაცნობის თარიღი : 16.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გაგარინის I შესახვევი , N 8ა / ქალაქი თბილისი , გაგარინის I შესახვევი , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ეგრისელაშვილი პ/ნ 01031006524
- თბილისი ვ.დარასელიას ქ. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 აპრილის №2540810 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 05 სექტემბრის №AR1537533 განცხადებით მომართა ლევან ეგრისელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 14

აპრილის №2540810 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 აპრილის №2540810 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, გაგარინის I შესახვევში, №8–ში,მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.10.13.009.024 არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 14 აპრილიდან 2017 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2016 წლის 14 აპრილის №2540810 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს ს/კ: №01.10.13.009.024 საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882017640481, 2017 წლის 18 ივლისი, 16:19:31)თანახმად წარმოადგენენ: ლევან ეგრისელაშვილი და შპს ,,თბილოტელი'', რომლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ლილი ტყეშელაშვილი დარეგისტრირებულია თანაგანმცხადებლად.
განმცხადებლების განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს სამსახურის 2016 წლის 14 აპრილის №2540810 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამდენად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს ლევან ეგრისელაშვილის 2017 წლის 05 სექტემბრის №AR1537533 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 აპრილის №2540810 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი